



# საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 25 2022 წლის 7 თებერვალი ქ.თბილისი

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა  
დანიშვნის შესახებ**

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

**მალაზონია დავით** – შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი – საბჭოს თავმჯდომარე;

**მამსიკაშვილი თამარ** – აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისათვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ბაბილუა პეტრე** – შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

**გაბოშვილი ნატო** – „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

**გიგიბერია გიორგი** – ა(ა)იპ – ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

**გიგიბერია ია** – შპს „ქართული სასწავლებლის – თბილისის“ მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი;

**გოგუაძე ზვიად** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;

**კვირიკაშვილი ეკატერინე** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;

**მამფორია მაკა** – შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი;

**მეკრავიშვილი შალვა** – სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ რუსთავის №2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;

**ნატროშვილი ქეთევან** – შპს „ქართული სასწავლებლის – თბილისის“ დირექტორის მოადგილე;

**ჯინჭარაძე მანანა** – სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი – საბჭოს მდივანი.

2. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 12 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ლარიბაშვილი